საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

# მიგრანტი

ინტელექტი

№16 / 2016

# „ინტელექტის“ დახმარებით სურვილები ხდება“



ტესტირება მზარეულებისთვის

**ეკოლოგიურმა და შრომითმა მიგრანტებმა, რომლებმაც სტილისტისა და მზარეულის სპეციალობის კურსი ქობულეთში, საზოგადოებრივ კოლეჯ ახალ ტალღაში გაიარეს, გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. ბენეფიციარებმა პროფესიული სწავლების საგრანტო პროგრამა პროექტ „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში დაეუფლენ, რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.**

პროექტის მიზანია აჭარის რეგიონში დაბრუნებული ეკომიგრანტებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მიგრაციისა და განვითარების საკითხების დაკავშირება და მიგრანტთა ჩართულობის დონის ამაღლება რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

მზარეულებისა და სტილისტების გამოცდა რთული, მაგრამ საინტერესო იყო. ყველა ბენეფიციარი სათანადოდ იყო ამ დღისთვის მომზადებული, მაგრამ მაინც ღელავდა. „ღელვა“ მხოლოდ ნახევარ საათს გაგრძელდა. როგორც კი საქმეს შეუდგნენ, სხვა ყველაფერი დაავიწყდათ. ველარც სპეციალურ კომისიას ამჩნევდნენ... მთელი არსით იყვნენ იმ საქმეში „ჩაძირული“, რომელიც მათი მომავლის გარანტად აირჩიეს.

ნაზიბროლა კვესიაშვილი უკვე მზარეულია. ის ამბობს, რომ ძალიან კმაყოფილია საგამოცდო ტესტით: „რამდენიმე კითხვა გავრცობილ პასუხს ითხოვდა, ვფიქრობ, რომ პასუხები სწორად გავეცი, რაც მანანა მასწავლებლის დამსახურებაა, სინტერესო გადმოცემის უნარი აქვს, მან ყველა ღონე იხმარა და ბევრი შრომა გასწია ჩვენი სწავლისთვის.“

ნატო დავითაძეც მზარეულის კურსდამთავრებულია. აღნიშნული პროფესიით 41 წლის ასაკში დაინტერესდა და არჩევანით კმაყოფილია: „რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მზარეულის სპეციალობასთან აქამდე არანაირი შეხება არ მქონია, პირველად აქ გავეცანი. მინდოდა რაიმე სპეციალობა მიმეღო (მზარეულის გარდა) და „ინტელექტის“ სასწავლო გრანტის პროგრამის წყალობით 41 წლის ასაკში სურვილი ავისრულე. ძალიან საინტერესო ყოფილა სამზარეულო, ახლა ჩემი პროფესიით დასაქმებაზეც ვფიქრობ. დიდი მადლობა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ და ჩემს პედაგოგს, ქალბატონ მანანა გაგუას, სამზარეულო რომ შემაყვარეს და გემრიელად კეთება მასწავლეს“.

ნატო დავითაძისგან განსხვავებით ნინო ბაუჟაძემ იმ პროფესიის შესწავლა გადაწყვიტა, რომელზეც ყოველთვის ოცნებობდა: „ძალიან მომწონდა სტილისტობა, მოყვარულის დონეზე ვარცხნილობები გამომდიოდა კიდეც. საზღვარგარეთიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი, როცა მეგობრისგან გავიგე, რომ არსებობს ორგანიზაცია - ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“, რომელიც შრომით მიგრანტებს პროფესიის შეძენაში ეხმარება. ამ ორგანიზაციამ საშუალება მომცა 45 წლის ასაკში ჩემთვის საინტერესო საქმიანობა შემესწავლა.“

ნინო ბაუჟაძეც შრომითი მიგრანტია. იგი თურქეთის რესპუბლიკაში 8 თვე დამლაგებლად მუშაობდა. ახლა სამუშაოს მშობლიურ ქვეყანაში ეძებს და ემიგრაციაში წასვლას აღარ აპირებს: „ძალიან გამიჭირდა უცხო ქვეყანაში მუშაობა, ენაც არ ვიცოდი, ოჯახი მენატრებოდა... ახლა შანსი მაქვს სამსახური აქ ვეძებო და საზღვარგარეთ წასვლაზე აღარც კი ვფიქრობ“.

ლალი გრძელაძემაც სტილისტის კურსები გაიარა და ახლა საკუთარი სილამაზის სალონის გახსნაზე ფიქრობს: „ეს საქმე იმდენად კარგად შევისწავლე, რომ ვფიქრობ საკუთარი სალონი გავხსნა. ჩემი მატერიალური სახსრებით ვერ გავწვდები და ვაპირებ ჩავერთო „ინტელექტის“ მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამაში, რაც მომცემს საშუალებას ავიხდინო ჩემი ოცნება - მქონდეს საკუთარი სილამაზის სალონი.“

„ახალი ტალღის“ სასწავლო პროცესის მენეჯერი ეთერ ანანიძე, კომისიის სხვა წევრებთან ერთად, საგამოცდო პროცესს მთელი 3 საათის განმავლობაში აკვირდებოდა: „მათი დასპეციალისტება ჩემს თვალწინ ხდებოდა. ვფიქრობ შედეგი მივიღეთ! სტუდენტების წარმატებული გამოცდა, მათი ნაყოფიერი და მაღალკვალიფიციური ცოდნის შედეგია! მათი თეორიული და პრაქტიკული ნაშრომები საგამოცდო კომისიამ დადებითად შეაფასა. ჩვენი კოლეჯის თითოული დარგის ხელმძღვანელი, ადმინისტრაცია თუ დასაქმების მენეჯერი დაინტერესებულია, რომ ჩვენივე კურსდამთავრებული დაასაქმოს. „ახალი ტალღა“ მათ რეკომენდაციას თამამად გაუწევს.“

გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ მიგრანტ კურსდამთავრებულებს – მზარეულებსა და სტილისტებს, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარემ ლევან გობაძემ და საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორმა დავით მჭედლიშვილმა სერტიფიკატები გადასცეს.

მცირე სასწავლო გრანტის პროგრამის მიზანია ქალაქ ბათუმში, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მიგრანტებს (მათ შორის ასაკოვან მიგრანტებს), რომლებიც იძულებული არიან ეძებონ სამუშაო საქართველოს საზღვრებს გარეთ, ხელი შეუწყოს შრომის ბაზარზე საკუთარი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. პროგრამის ფარგლებში „ინტელექტის“ ბენეფიციარები შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებს ეუფლებიან. პროფესიული სწავლის პროგრამას გაივლის სულ 100 ბენეფიციარი, მათ შორის 50% იქნება ქალი.



სტილისტებისთვის სერტიფიკატების გადაცემა

## წარმატებული ბენეფიციარი

## მზარეული ზაირა სურმანიძე

49 წლის შრომითი მიგრანტი ზაირა სურმანიძე ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ერთ-ერთი წარმატებული ბენეფიციარია. მან პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში მზარეულის სასწავლო პროგრამა გაიარა და სწავლის დასრულებისთანავე ქობულეთში, კაფე „326“-ში შეფ-მზარეულად დაიწყო მუშაობა.

ქალბატონი ზაირა თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ სტამბულში 8 წლის განმავლობაში მუშაობდა. ხან ფაბრიკაში მოეწყო, ხან ოჯახში მზარეულად საქმდებოდა. თავდაუზოგავი შრომის მიუხედავად ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა არ იცვლებოდა, ამას ემატებოდა ოჯახის წევრების მონატრებაც... ამ ყველაფერს ველარ გაუძლო და საქართველოში დაბრუნდა:



ზაირა სურმანიძე

„საზღვარგარეთი იმისთვისაა კარგი, ვინც მარტოხელაა. ეკონომიკურმა მდგომარეობამ მაიძულა წავსულიყავი სხვა ქვეყანაში სამუშაოდ, მაგრამ ოჯახის სიყვარულმა უკან დამაბრუნა. როცა ჩამოვედი სამი თვის განმავლობაში დაუსაქმებელი ვიყავი, მაგრამ უცხოეთში წასვლაზე აღარც მიფიქრია, აქ დავიწყე გამოსავლის ძებნა. ქალბატონ მანანა გაგუას რჩევით ჩავერთე ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ და უკვე პროფესიონალი მზარეული ვარ. ამის შემდეგ სამუშაოს პოვნაც გამიმარტივდა, დავსაქმდი და შემოსავალი გამიჩნდა.

ახლა ჩემი მეუღლის უცხოეთიდან დაბრუნების მოლოდინში ვარ. მალე ჩამოვა და ვთხოვ, აუცილებლად ჩაერთოს „ინტელექტის“ პროექტში. იქნება შემდეგ ერთობლივად გავხსნათ საკუთარი კაფე.

არამარტო ჩემს მეუღლეს, ყველას, ვინც ჩვენსავით იძულებულია ოჯახის შესანახად საზღვარგარეთ წავიდეს სამუშაოდ, მინდა ვუთხრა, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ შანსი მოგვცა უფასოდ შევისწავლოთ ჩვენთვის სასურველი პროფესია, რაც საშუალებას მოგვცემს სამუშაო ჩვენს ქვეყანაში ვეძიოთ.

ნუ დავკარგავთ ამ შანსს!“

**P.S.** ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ზაირა სურმანიძეს წარმატებებს უსურვებს.

**ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

**ჩანართის რედაქტორი: სალომე აბულაძე**
**მისამართი:** ბათუმი, ფიროსმანის №18
**ტელ:** 24 16 40; **ფაქსი:** 24 16 50; **მობ:** 592 57 18 00
**ელფოსტა:** info@intellect.org.ge;
**ვებგვერდი:** www.intellect.org.ge

## შენიშვნა

**შრომით მიგრანტად ჩაითვლება პირი**, რომელმაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ორჯერ ან/და არანაკლებ სამი კვირით მაინც გადაკვეთა საქართველოს საზღვარი დაბალ პრესტიჟული შრომითი საქმიანობის განხორციელებისა და შემოსავლის მიღების მიზნით.

**ეკოლოგიურ მიგრანტად ჩაითვლება პირი**, რომელიც ეკოლოგიური პროცესების გამო დაზარალდა და მინიჭებული აქვს I ან II კატეგორია გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე.